# სახალხო გაზეთი

№ 780 — პარასკევი, 21 დეკემბერი 1912 წ. — № 780

**განცხადების ფასი.** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

**განცხადებანი** იმ პირთა, ფირმითა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია, 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, კიევში—ბიბიკის ბულვარი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



[stamp]


ფელ ფადი მეოთხ — ფელიფადი მეოთხე

## გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის „სახალხო გაზეთზე"

ყოველ-დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება
**„სურათებიანი დამატება"** (კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ორ წიგნს**

1) უცხოეთის მწერლები. (400 გვ.) 2) ქართველი მწერლები. (500 გვ.)

გაზეთის ფასი ყველა პრემიებით წელიწადში 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., ერთი თვით 75 კ.
იმ ხელისმომწერმა, რომელიც ორივე პრემიის მიღებას ფოსტით მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ ათი შაური. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**ხელის მოწერის პირობები:** 1) წლიურ ხელისმომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ., 1 ენკენისთვემდე 1 მ. 50 კ. 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა. **ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილ. 9—3 ს.-მდე და საღ. 5—7 ს.-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 ქრისტეშობისთვიდან კი ღია იქნება: დილ. 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღ. 3 ს. 2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად აზნაურთა ქარვასლა.
3) ფოსტით. Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети". поч. ящ. 190.

---


ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**კვირას, 23 დეკ.,** 1912 წ. ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმ. იქნება:
ცნობილი ისტორიული პიესა **სამეგრელოს მთავარი ლევან**
დრამა 5 მოქ. ვას. ყიფიანისა.
მონაწილეობენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე, ჩერქეზიშვილი
ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, ზ. რდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ჟვიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.
**დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია.
**ანონსი:** ოთხშ., 26 დეკ., წარ. იქნება. დილით — „გამცემელი", საღ. „ანტიგონე".
1623 რეჟისორი ვალ. **შალიკაშვილი** ქართ. დრ. საზ. ადმინ.

**არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.**
**დ ღ ე ს** საღამოს $8\frac{1}{2}$ ს. დანიშნულია
## ლ ე ქ ც ი ა
1 სახ. სათათბ. თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფ, **პროფესორ**
**ნიკოლოზ ანდრიას ძე გრედესკულისა:**
**„ეროვნული საკითხი დასავლეთსა და რუსეთში".**
ბილეთები იყიდება დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 ს. არტ. საზ. კლუბის შვეიცართან. ხოლო საღ. 7 საათიდან შესავალთან გოლოვინის პროსპექტის მხრივ.
**კვირას,** 23 დეკემბერს, **უკანასკნელი ლექცია** ტფილისში **ნ. ა. გრედესკულისა:** „ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში". 1645

სახალხო **ავლაბრის სახალხო თეატრი** წარმ. № 19.
**კვირას, 23 ქრისტეშ.**
**პირველი გასტროლი ქართული თეატრის დამსახურებულ მსახიობთა**
**ქ. ეფემია მესხისა და დ. აწყურელისა**
ავლაბ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწ. წარმ. იქნება:
## ლ ა ლ ა ტ ი
დრამა-ლეგენდა 5 მოქ. ს. მგალობლიშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.
მონაწილეობენ: ქ-ნნი **ეფ. მესხი**, მარგველაშვილი, დავითაშვილი, საკოვი, ჟურული,
ბ-ნნი. **აწყურელი**, ივანიძე, შანშიაშვილი, თავდგირიძე, კილოსანიძე, ქიზიყელი, სულთანიშვილი, სალაყაია, მაისურაძე და სხვ.
**დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასები 0—50 კ.
**ანტრაქტებში დაუკრავს სიმებ. ორკესტრი ბ. ბეთანიშვილის ხელმძღვანელობით**
მორიგი გამგე **რ. ჯიბლაძე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**
**ანონსი:** კვირას, 30 ქრისტეშ., კოტე მესხის მონაწ. წარ. იქნება „ხალხის მტერი". 1636

## ტფილისის კერძო სამკურნალო
**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან**
**ძმებ ეფის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ზემელის სასტუმროს ახლო.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 593.**
**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი საშუალოვანი განყოფილება.**
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ დროს, გარეშე მკურნალ ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმ-სპეციალისტები

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი ნ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12\frac{1}{2}$—1.<br>**ფედოროვი ი. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი ყოველ-დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ს.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**მ. ა. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ.) $11\frac{1}{2}$ $12\frac{1}{2}$. |
| ქალთა და საშოს სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თაკაიშვილი ი. ნ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხუდაძე ე. ა.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებანი. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1\frac{1}{2}$ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12\frac{1}{2}$—1.<br>**ფედოროვი ი. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10\frac{1}{2}$—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1\frac{1}{2}$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2\frac{1}{2}$. |
| კან. და ვენ. სნ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman**, რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი სადასურით. 1610

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა,** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 847

## ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი
**შაბათს, 22 დეკემბერს, 1912 წ.**
# მასკარადი.
მასკის ბილეთების მიხედვით ნამდვილ წევრებმა კეთილ ინებონ და მიჰმართონ კლუბის შვეიცარს. მანდილოსანთათვის მასკები სავალდებულოა ღამის 1 საათამდე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს 1 მ., სტუდენტ. 25 კ. ტანისამოსის ფორმა: სამხედროთათვის—ჩვეულებრივია; დანარჩენთათვის—ვიც-მუნდირები—ფრაკი და ეროვნული ტანისამოსი. 1635



?

1531.

**გაგრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:**
## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი
**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**
წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა
**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**
(იგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.
**ფასი 8 მანეთი,** ვისაც დასაკვეთ ფულის ნაწილი უკვე შემოტანილი აქვს დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას.
გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.
წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან. თელავში—თამარ აბაშიძესთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. ბაქოში—ილია აგლაძესთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომოურთან. ახალციხეში—როზალია ბელელიშვილთან
ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

## საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იაფლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ელექტრონისა და რენტგენის**
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
**მიხ. გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. $9\frac{1}{2}$ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11\frac{1}{2}$ ს.
**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდ. ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11\frac{1}{2}$.
**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—$11\frac{1}{2}$ საათ.
**ნ. მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
**წამლობა „606"**

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. ხოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—$5\frac{1}{2}$ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 530

**ნაფიც-ვექილ. თანაშ.**
**გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი**
**გადავიდა** ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

**ექიმი ი. კ. აბაკელია** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს $4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$ საათ. **ელისაბედის ქ.** № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი** იღებს ავადმყოფებს შინაგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მიხაილის ქუჩ. № 2 ს. ბაბაშვილისა.

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6\frac{1}{2}$ საათ. [illegible]

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334


## სახელმწიფო საბჭო
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).
19 დეკემბრის სხდომა.

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს. საბჭომ მოისმინა საფინანსო და საკანონმდებლო შეერთებულ კომისიის მოხსენება იმ კანონ-პროექტზე, რომელიც ეხება გლეხთა დროებითი ვალდებულების გაუქმებას, ქუთაისის, ტფილისის, განჯის, ერევნის და ბაქოს გუბერნიებში, ნადელების შესყიდვის საშუალებით, რაშიაც მთავრობა დაეხმარება გლეხობას თანხის გაცემით.

**მომხსენებელი სტიშინსკი.** კომისიის წევრთა უმრავლესობამ დაადგინა, მიიღოს კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით. მხოლოდ ქუთაისის თავად-აზნაურთა წარმომადგენლის, სახელმწიფო საბჭოს წევრის, ერისთავის სიტყვა გაისმა მძაფრ დისონანსად. მომხსენებელმა თან და თანობით დაარღვია ერისთავის სიტყვის ძირითადი დებულებანი. ერისთავი ამტკიცებდა კანონ-პროექტის უარყოფის საჭიროებას, რადგანაც იგი ვერ არის სრული და ადგილობრივ პირობებს არ შეესაბამება, კანონ-პროექტთან არ არის შემუშავებული ხიზანთა საკითხი. გარდა ამისა, კანონ-პროექტში არეულია ნაყმევ ქართველ გლეხთა მდგომარეობა და სომეხთა და თათრების მდგომარეობა, რომელთაც ბატონ-ყმობა სრულიადაც არ განეცადათ.

**ერისთავი.** ჯერ კიდევ 25 წლის წინად გამოვეც წიგნი, რაშიაც ვამტკიცებდი ნადელების შესყიდვის აუცილებლობას. სრულიადაც არა მსურს შევცვალო საბჭოს უმრავლესობის აზრი, მხოლოდ ჩემ მოვალეობადა ვსთვლი განვაცხადო, რომ კანონ-პროექტი ზემოდ ჩამოთვლილ ნაკლულევანების გამო, ყოვლად შეუწყნარებელია. წინადადება შემომაქვს კანონ-პროექტი კომისიას დაუბრუნდეს, რათა ერთ და იმავე დროს განიხილავენ ხიზანთა და სერვიტუტთა საკითხს.

**ნიკოლსკი** როგორც მეფის მოადგილის წარმომადგენელი აცხადებს: ქუთაისისა და ტფილისის თავად-აზნაურობამ მეფის მოადგილის საბჭოს თათბირში თვითონვე ითხოვდა ხიზანთა და სერვიტუტის საკითხის გამოყოფას. სერვიტუტის საკითხი დახლართულია და მისი გარკვევა რომ შეუფარდოთ კანონ-პროექტის შემუშავებას, მაშინ კანონ-პროექტი რამდენიმე ათი წლით გადაიდება. დროებით ვალდებულების მოსპობა კი ამიერ კავკასიის ცხოვრების ერთ-ერთ მწვავე მოთხოვნილებას წარმოადგენს. ამ მწვავე მოთხოვნილებამ იძულებულ ჰყო ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტში ერთხმად დაედგინა, რაც შეიძლება მალე შემოღებული იყოს სავალდებულო შესყიდვა. ამით აიხსნება ისიც, რომ 1904 და 1905 წ. კავკასიის გუბერნიებში აგრარულმა მოძრაობამ ფრიად მწვავე ხასიათი მიიღო და უკიდურეს გამწვავებამდე ავიდა.

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.** ამ კათედრაზე იმ მიზნით ავედი, რომ ამ საკითხს თაობაზე გამომეთქვა მთავრობის მოსაზრება; არ შევეხები საკითხს დაწვრილებით, რადგანაც მისი დაწვრილებითი განხილვა ჩვენ უკვე მოვისმინეთ მომხსენებელ სტიშინსკის და მეფის მოადგილის წარმომადგენელ ნიკოლსკისგან. შევჩერდები ერისთავის განსაკუთრებულ აზრზე, რომელიც მოითხოვს კანონ-პროექტის უარყოფას, მის უსამართლობის დაუსრულებლობის გამო. სრულიად ვემხრობი სტიშინსკის და ნიკოლსკის აზრს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამ კანონ-პროექტში სამართლიანობა სრულიად არის დაცულიო. სამართლიანობა დაცულია იმიტომ, რომ ის, რა ზომაც მივიღეთ რუს გლეხთა დროებით ვალდებულების მოსასპობად, იმასვე ვიღებთ შეუცვლელად ამავე შემთხვევაში. არც ის არის მართალი, ვითომც კანონ-პროექტი სრული არ იყოს, რადგანაც დაკავშირება კანონ-პროექტისა ერთის მხრივ და ხიზანთა და სერვიტუტის საკითხის მეორე მხრივ, შემცდარი აზრია. მთავრობა სხვა კანონ-პროექტი იმიტომ კი არ შემოიტანს, რომ არ ჰსურდეს ამ საკითხზე მუშაობა, არამედ იმიტომ რომ არ შეუძლიან შემოიტანოს. სერვიტუტის საკითხი ფრიად რთულია და მის გულისთვის არ შეიძლება გადაიდოს სხვა საკითხების განხილვა, რაიც გამომდინარეობს საადგილ-მამულო ურთიერთობისაგან. სერვიტუტი კავკასიაში არაფრით არ განირჩევა რუსეთის სხვა ადგილების სერვიტუტისაგან. სერვიტუტის საკითხის განხილვას მთავრობა უნდა შეუდგეს, შეუდგება კიდეც და მასზე ბევრიც იმუშავა.

გარნა სერვიტუტის საკითხის გულისთვის რომ გადავდოთ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხი, უსამართლობა და უპოლიტიკობა იქნება. დაუსაბუთებელია ის მოსაზრებაც, ვითომც საადგილ-მამულო ურთიერთობა ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში, არ შეიძლება დავუპირდაპიროთ ურთიერთობას. კავკასიის აღმოსავლეთ გუბერნიებში თუ მართლა ისტორიული წარმოშობა გლეხთა ურთიერთობისა აღმოსავლეთში და დასავლეთში სხვა და სხვაა, მაგრამ მათი ბუნება ხომ ერთგვარია. ერისთავმა განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობა კეთილგანწყობილებაზეა აღმოცენებულიო.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამბობს: თავად-აზნაურთა ბანკის ოფიციალურ ანგარიშის ძალით შემიძლიან განვაცხადო, რომ ამიერ კავკასიაში შემჩნეულია კლიენტების გადასახადის აუსრულებლობა. ამიერ კავკასიის თავად-აზნაურობის წარმომადგენლნი თავს იმით იმართლებდნენ, რომ მათაც დროზე არ აძლევენ მოიჯარადრენი და ნაყმევები.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სათათბიროს რედაქციის მომხრეა. თუ საბჭო ერისთავის აზრს დასთანხმდება, მაშინ შეუძლიან ხიზანთა საკითხი ცალკე განიხილოს, და კანონ-პროექტის არავითარი შეფერხება არ შეხვდეს წინ.

**ოფროსიმოვი.** საჭიროა ამ კანონ-პროექტთან ერთად შემუშავდეს სერვიტუტის საკითხიც. კანონ-პროექტი უნდა გადაეცეს კომისიას და შეიკრიბოს სერვიტუტის შესახებ ცნობები.

**ოფროსიმოვის** წინააღმდეგ ლაპარაკობენ **კოვალევსკი** და **სტიშინსკი.**

**ერმოლოვს** შეაქვს კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის წინადადება. ამასთანავე გამოსთქვა აზრი, რომ რაც შეიძლება მალე იყოს შეტანილი სერვიტუტის სალიკვიდაციო კანონ-პროექტი.

საბჭომ უარჰყო **ოფროსიმოვის** წინადადება და მიიღო **ერმოლოვისა.**

**სტიშინსკის** წინადადებით მიიღეს მორიგ საკითხებზე გადასასვლელი ფორმულა, სადაც მთავრობას წინადადებას აძლევენ შემოიტანონ კანონ-პროექტი გლეხების მიერ მიწების შეძენის თაობაზე, მთავრობის დახმარებით.

საბჭო გადავიდა მოვაჭრე მოსამსახურეთა დასვენების კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე. ტრიპოლიტოვის და ვაჭრობის მინისტრის სიტყვების შემდეგ შესწორება შეიტანეს, 15 საათის ვაჭრობა 12 საათამდე შეზღუდონ. შეიტანეს აგრეთვე რამდენიმე არსებითი შესწორება, როგორიც არის მაგალითად ზედმეტი მუშაობა მუშათა ნებაყოფლობით და სხვა. უკამათოდ მიიღეს მერვე, მეცხრე, და მეათე მუხლი სათათბიროს რედაქციისა.

სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა ამ თვის 21 მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი **ე. ა. ვატაცი** 22 დეკემბერს პეტერბურგს მიემგზავრება.

დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა სინოდის მოხსენება, რომლის ძალითაც საქართველოს ეპარქიაში არსდება **მეოთხე საეპისკოპოსო კათედრა;** ბაქოს ეპისკოპოზი პიმენი ინიშნება ერევნის ახალ ეპარქიის ეპისკოპოზად, რომლის საცხოვრებელი ადგილი ტფილისი იქნება. ბაქოს ეპისკოპოზად ინიშნება ტამბოვის ეპარქიის ეპისკოპოზი გრიგორი. ერევნის ახალი საეპარქიო საქართველოს საეგზარხოსოს შემოსავლით შეინახება, სანამ ხაზინა საჭირო ფულს არ გადასდებს.

**ტრამვაის დაჯარიმება.** ქალაქის კანტროლიორმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა ტრამვაის დირექცია კიდევ 380 მან. დააჯარიმოს, რადგანაც 16 და 17 დეკემბერს ვაგონები სამუშაოდ გვიან გამოუშვა და ზოგ ვაგონს წარწერაც არ ჰქონდა.

**ქალაქის საელექტრონო სადგურის** აგება ამ დღეებში დამთავრდება. სადგური მოქმედებას 1 იანვრიდან დაიწყებს.

**საშობაოდ დაითხოვეს** გუშინ ტფ. ყველა სასწავლებლის მოსწავლენი.

მეფის მოადგილის თანაშემწე, სენატორი **ე. ა. ვატაცი** ამიერ-კავკასიის საბეითლო საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

შუამთის მონასტრის ბერ-მონაზონი **ამბროსი** (ალადაშვილი) კვალად დანიშნულია ხაზინადრის თანამდებობაზე ხირსის წმინდა სტეფანეს მონასტერში.

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა აცნობა **ქართულ სამეურნეო საზოგადოებას,** რომ 1913 წლისათვის საზოგადოება მიიღებს იმის ნახევარ დახმარებას რაც აქამდე ეძლეოდა. დღევანდლამდე ყოველწლივ ეძლეოდა 920 მ. მებაღეობასა და მებოსტნეობისათვის და 2000 მ. ხეხილის სანერგეებსა და მებოსტნეობისთვის კახეთში.

**იარმუკა-ბაზარი.** გუშინ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში მეფუტკრეობის ნაწარმოებთა იარმუკა-ბაზარი გაიხსნა.

**კავკასიის მუზეუმის** აღმაშენებელ კომისიის კრება 22 ქრისტიშობისთვეს არის დანიშნული ზოგიერთ სამუშაო იჯარის გასაცემად.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი 19 დეკემბერს მეფის მოადგილის თანაშემწეს წარუდგა პოლიტეხნიკუმის საკითხის გამო.

სახალხო გასართობთა საზოგადოებას სახალხო სახლში საბავშვო წარმოდგენის გამართვის ნება არ დართეს, რადგანაც ტფილისში **ქუნთრუშა** მძვინვარებს.

გუშინ პეტერბურგიდან ჩამოვიდა **პროფესორი ნ. ა. გრედესკული** და „ორიანტის" სასტუმროში ჩამოხტა. იგი დღეს საარტისტო საზ. საკონცერტო დარბაზში წაიკითხავს პირველ ლექციას: „ეროვნული საკითხი დასავლეთსა და რუსეთში.

გუშინ ტფილისში ჩამოვიდა 40 კაცისაგან შემდგარი ფსიხო—ნერვ. ინსტიტუტის სტუდენტთა ექსკურსია.

**რედაქციამ მიიღო** ახოსპირელის ლექსთა კრებული **„ჩემი ნანა".** წიგნი 32 გვერდიანია და ორ შაურად ღირს.

მეფის მოადგილემ ნება დართო, დაბა **გუდაუთში** (სოხუმის ოლქში) პირველი სასოფლო **საავადმყოფო** დაარსონ. ამ საქმისთვის გადადებულია 50,000 მან.

**მიხეილის საავადმყოფოსთან** ეკლესიისა და პროზექტურის ასაგებად საერობო თანხიდან საჭირო ფული გადაიდო.

**პოლიტეხნიკუმი.** ამ დღეებში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მეფის მოადგილეს წარუდგენს პოლიტეხნიკუმის პროექტსა და ხარჯთ-აღრიცხვას და შემდეგ დაუყოვნებლივ დანიშნავენ მთავარ საუნივერსიტეტო კომიტეტის კრებას ამ პროექტისა და ხარჯ-აღრიცხვის განსახილველად.

**რედაქციამ მიიღო** „განათლების" მე-10 (დეკემბრის) ნომერი შემდეგის შინაარსით. 1) რა უნდა მოგვცეს ახალმა პედაგოგიკამ, **ლ. ბოცვაძისა.** 2) ჰიგიენა, (წყალი) **ილ. ალხაზიშვილისა.** 3) თავისუფალი საწერი საკუთარის დაკვირვებიდან, **ს. ა—ძისა.** 4) მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან, ექ. **ევგ. ლოსაბერიძისა.** 5) ნიკოლოზ ბარათაშვილი, **ილ. ფერაძისა.** 6) ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა, **მ. ქ. ყიფიანისა.** 7) დილის მგოსანი, **გელასი.** 8) ვალიდა, **მიხეილ ბოჭორიშვილისა.** 9) გრგვინვა, **ვაჟა-ფშაველასი.** 10) პედაგოგი პ—ლი მ—ნი. 11) ბუნების ელვარებაში, **ს. აბულაძისა.** 12) უცხოეთში, **ვარლამ იმერელისა.** 13) სტუდენტის ცხოვრების ნაწყვეტი, **დ. თურდოსპირელისა.** 14) შობა, **ლადო გეგეჭკორისა.** 15) დამსხვრეული ბედნიერება, **ს. ბაირონიშვილისა.** 16) ჩემი სტრფო, **ლადო გეგეჭკორისა.** 17) † არისტო ქუთათელაძე 18) სიტყვა, არისტო ქუთათელ. **დეკ. კ. ცინცაძისა.** 19) წერილი სოფლის მასწავლებლების ძიმართ. 20) უცხოეთი—**კოტეხი.** 21) ბიბლიოგრაფია. 22) შინაარსი 1912 წ. 23) განცხადებანი.

## წვრილი ამბები

19 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა ეკატერინე ნიკიტის ასულმა ფედოტოვისამ. პოლიციელმა დროზე მოასწრო და მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნა. გადარჩენის იმედი აქვთ.

19 დეკემბერს კახეთის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი დაეჯახა ურემს, დაამსხვრია. შიგ მჯდომის საგარეჯოელ ძარია დათოს ასულ როდიაშვილისას ხელი ეტკინა. მას არამიანცის საავადმყოფოში სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს.

19 დეკემბერს ტფილისში სხვა და სხვა უბნებში 66 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები.

**ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება დღეს მოხდება. განსახილველი საგნები: 1) არჩევა კანდიდატისა ამიროვის სახელობის სტიპენდიაზე მოსკოვის უნივერსიტეტში, 2) მცირე კომისიის მოხსენება უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლის დაარსების შესახებ, 3) ხითაროვის განცხადება საქალაქო სკოლებში კალათების ქსოვის გაკვეთილების შემოღების შესახებ და სხვანი.

**ახლად დაარსებულ ცეცხლის მქრობელ საზოგადოებას** აზრად აქვს, ავგოს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მიხეილის ქუჩის მახლობლად, ცეცხლის მქრობელი პატარა სადგური. საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას სთხოვა, ფულით შემწეობა აღმოუჩინოს და საქალაქო მიწა დაუთმოს სადგურისათვის.

## სასწავლებლებში.

**მშობელთა წრეების ცენტრალურ საბჭოს** პირველი კრება 18 დეკემბერს მოხდა. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. მ. ტურბოვიჩი, მდივნად ვ. ბ. ელიავა. ამ კრებაზე საბჭომ შეიმუშავა მომავალ მოქმედების გეგმა.

**ქალთა მესამე გიმნაზიაში:** მიმდინარე სამოსწავლო წლიდან მშობელთა წრე არ მოქმედებს. უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რათა 1 იანვრიდან წრე მოქმედებას შეუდგეს.

## სასამართლო

გუშინწინ ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია დაბა ხიდისთავის (გურია) გაძარცვის საქმე. წარსულ წელს საღამო ჟამს, იმ დროს, როცა ის იყო დუქნის კარები უნდა დაეხურათ, ბაზარში შემოიჭრენ რამდენიმე შეიარაღებული ავაზაკი; ამ დროს ბაზარში მოვაჭრეებს გარდა სხვა პირებიც იყვნენ. ავაზაკებმა ყველას უბრძანეს ადგილიდან არ დაძრულიყვნენ, ზოგი კიდეც დაიწყვნეს. რამოდენიმე დარაჯად იდგა და დამსწრე პირებს იარაღით შიშის ზარსა სცემდა. სხვები ამ დროს დუქნებს მოედო და ძარცვას შეუდგნენ.—გაუძარცვავი არ დატოვეს არც სოფლელები—შემთხვევით ბაზარში მყოფნი. ძარცვა-ჩირქვამ საათ ნახევარს გასტანა. შემდეგ ნაძარცვი საქონელი პატრონებისვე აჰკიდეს ზურგზე და არხეინად მთისკენ გაუდგნენ გზას. გზაში გაძარცულებს აძახებინეს: „ჩვენ ვართ ხიდისთაველები არ გვეროლოთო" პოლიცია ადრე გაჩნდა, მაგრამ ავაზაკებს მაინც ვერ დაეწია, რეკა ავაზაკში შეიპყრეს მხოლოდ ერთი ქობულეთელი მაჰმადიანი, რომელიც ყველაფერში გამოტყდა. ბრალდებულის სკამზედაც მხოლოდ ეს ერთი იჯდა, როგორც გამოირკვა, მეთაური შელია ისევ გავარდნილმა მოჰკლა შემოქმედში. მაჰმადიანს 4 წან. წლის კატორღა მიუსაჯეს. ნაძარცვიდან მხოლოდ 8 მან. რგებოდა. („მერცხალი")

## ქუთაისი

18 დეკემბერს მოხდა **ქალაქის სასკოლო კომისიის სხდომა** ქალაქის გამგეობისა და აგრეთვე ზოგიერთ მოწვეულ ცნობილ პედაგოგთა თანადასწრებით. მზრუნველის წინადადების გამო სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსების შესახებ კრებამ გადასწყვიტა: იშუამდგომლოს, რომ ასეთი ინსტიტუტი დაარსებულ იქნას ქუთაისში, რისთვისაც ქალაქი სწირავს 2000 ოთხკუთ. საჟენს სადორიის აგარაკში და ქვა-სილას სასწავლებლისთვის საჭიროს და გარდა ამისა 15 ათას მანეთს, რომელიც ათი წლის განმავლობაში უნდა გადახდილ იქმნას. ამავე სხდომაზე სახალხო სკოლების დირექტორის წინადადება ბალახვანის ქუჩაზე პირველდაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ უარყოფილ იქნა, უსახსრობისა გამო.

— ქალაქის სკოლებსა და დირექციის შორის ამტყდარ ინციდენტის გამო **გ. ი. გველესიანმა** ვრცელი მოხსენება წარადგინა, რომელიც სასკოლო კომისიამ ერთხმად მიიღო.

**ჭიათურიდან** ნოემბერში გაუზიდიათ 5.319.500 ფუთი შავი ქვა. ბათომის ნავსადგურიდან ამავე თვეში გაიზიდა სამზღვარგარედ 985.915 ფუთი შავი-ქვა, ფოთიდან კი 3,918152 ფუთი.

ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა შავ-ქვის მრეწველთა საბჭოს,—რომ მან განკარგულება მოახდინა, რათა შორაპნის მაზრის უფროსმა ყოველგვარად ხელი შეუწყოს, როცა **დაბა-ჭიათურაში ალწერას შეუდგებიან.** („იმერეთი")

ქუთაისიდან ფოთში გაემგზავრა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი **კარსკი.** კარსკი დარჩება ფოთში რამდენიმე დღე. ის იძიებს **ნიკო ნიკოლაძის** საქმეს. როგორც გადმოგვცეს, გამოძიება სამ თვემდე გასტანს.

უმაღლესმა მთავრობამ ქუთაისის **სათავად-აზნაურო გიმნაზიის** უფროსს ნება დართო მისდამი რწმუნებულ სასწავლებლის თითეულ კლასში 40-ზე მეტი შეგირდი მოათავსოს. აქამდე გიმნაზიას არ ჰქონდა უფლება თითეულ კლასში 40-ზე მეტი მოსწავლე ჰყოლოდა.

19 დეკემბერს ქ. სასულიერო სასწავლებლის შენობაში დეკ. სამსონ ლეჟავას თავმჯდომარეობით დაიწყო **იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება** ყოვლად სამღვდელო გიორგი ეპისკოპოსის ნებართვით. კრებას სამეურნეო ჟურნალ „სასოფლო გაზეთის" რედაქტორმა ალ. შარაშიძემ თხოვნით მიმართა, თხოულობს სამღვდელოების წარმომადგენლები გაზეთის გავრცელებაში დაეხმარნენ. იმედია სამღვდელოება ამ ფრიად სასარგებლო საქმეს თანაგრძნობით მოეკიდება. („მერცხალი").

## სამტრედია

დაბა სამტრედიაში საზოგადოებას დაუდგენია მომავალ ენკენისთვიდან დაარსონ ახალი „ტიპის" **ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი** ქალ-ვაჟთათვის.

## ლეჩხუმი

აქ დიდი თოვლი და საშინელი ყინვებია. ცუდი ამინდების გამო შეშისა და სანოვაგის ფასმა საგრძნობლად აიწია.

## ლანჩხუთი

ლანჩხუთის ბოქაულად ნამყოფი **მიქიაშვილი,** რომელსაც ამ ეამად გამასწორებელი რაზმი აქვს გადაწყვეტილი, ხამ ტუსაღებს თურმე ატყუილებს გაგანთავისუფლებთო და ამისთვის ფულს ახდევინებს. ტუსაღ კოლუაშვილს უჩივლია ბ. გუბერნატორთან, რის შესახებ გამოძიება სწარმოებს.

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისა)

## ქუთაისი

გუშინ წინ პოლიციის მახლობლად უცნობები დაეცნენ ებრაელს ციციაშვილს და სასიკვდილოდ დასჭრეს. სროლის დროს დაიჭრა მოხელე სტავრაკოვიც. ბოროტმოქმედებმა გაქცევის დროს დასჭრეს ბოქაული მარქაროვი. დაატუსაღეს ვაჭარი კამაროვი, რომელიც დიდძალ სათავადებო თანხის შეტანის შემდეგ განთავისუფლეს.

# ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება.

19 დეკემბერს ქარ. სას. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება მოხდა. კრება გახსნა თავ. **ს. რ. ვახვახიშვილმა** 9 საათზე.

საზოგადოების მდივანმა **ვ. რ. რცხილაძემ** წაიკითხა მოხსენება აგრონომის გიორგი **ნახუცრიშვილისა,** საზოგადოების აგრონომებს მომავალი წლის მუშაობის გეგმის შესახებ, ბ. ნახუცრიშვილის მოსაზრებით ამ თავიდანვე საჭიროა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ისეთ დარგებს, რომელიც ხალხს ასაზრდოებს ქართლში—ხვნა-თესვას და მეხილეობას, კახეთში მევენახეობას და შემდეგ ხვნა-თესვას. ამიტომ საჭიროა როგორც კახეთსა ისე ქართლში ვაზისა და ხეხილის სანერგეების დაარსება. საჭიროა ამთავითვე მიწების შეძენა, რადგანაც მიწების ფასი თანდათან იწევს და შემდეგ საზოგადოება ამას ვეღარ შესძლებს.

უკეთუ საზოგადოებამ ბინების მოწყობა ვერ შესძლო, მაშინ ინსტრუქტორების მოქმედების გეგმაც შეიცვლება. ქართლში—ლიახვის მარცხნივ და მარჯვნივ უნდა მოეწყოს ხეხილის გასხვლის საქმე, დახეხილის წამლობაც. სოფ. ძეგვში, ტირძნიში, ტყვიავში და სხვაგან უნდა მოეწყოს სახმობი მანქანების ჩვენება-დემონსტრაცია. ლექციები მებაღეობის შესახებ, დიდმნიშვნელოვანი არ არის. საჭიროა პრაქტიკული მუშაობა. საჭიროა აგრეთვე მიწის ხელოვნური სასუქიც. გამოსათოს სალდელი ვენახები სამ ალაგას: ქსნის ხეობაში, მტკვრის მარჯვენა მხარეს და ერთიც ლიახვისხეობაში,

**ვ. რცხილაძე** ქართლი ფილოქსერით დაავადებულია. ხალხი კი იმდენად არ არის გამსჭვალული ამერიკულ ვაზზე დამყნის სარგებლობით, რამდენადაც ეს საჭიროა. საკითხი თუ რომელი ვაზია გამოსადეგი და საჭირო, დღესვე საჭიროა, რო-

# სად არის სიმართლე?

(კახეთის რკინის გზის გარშემო).

1.

9 დეკემბერს დეპუტატთა საკრებულოში გაიმართა კერძო თათბირი კახეთის რკინის გზის გამო. როგორც მოსალოდნელი იყო, ზემოხსენებულმა თათბირმა დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა. ეტყობოდა, ყველა დაინტერესებული იყო საკითხის გამორკვევით, ყველას უნდოდა ობიექტიური და მართალი სიტყვა გაეგონა. საუბედუროდ, მიუხედავად თავმჯდომარედ არჩეულ ბ-ნ ყაზბეგის ცდისა, თათბირმა ბევრი რამ ვერ გამოარკვია. ლაპარაკობდნენ უმთავრესად თ-დი გ. ბაგრატიონ-დავითიშვილი და თ-დი პ. თუმანიშვილი. გრძელი სიტყვა სთქვა თ-დმა ბაგრატიონ-დავითიშვილმა იმის შესახებ, რომ სიღნაღ ბაქოს რკინის გზა საზარალოა, რომ შეერთება კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზებისა ჩვენი ადგილობრივი ინტერესებისთვის სასურველი არ არის.

საკითხს, საზარალოა თუ არა კახეთის რკინის გზა, ან რომელი უფრო მომგებიანია—კახეთისა თუ სიღნაღ-ბაქოსი,—ამ საკითხებს დანოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. მათ გამორკვევას იმდენადა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ხელს შეგვიწყობს მეორე, მთავარ საკითხის გამორკვევას—სასარგებლოა თუ არა, რომ კახეთის რკინის გზის ბატონ-პატრონად ქართველი თავად-აზნაურობა დარჩენილიყო. ამისთვის უნდა მიექციათ უმთავრესი ყურადღება. თავმჯდომარემ ასეც დასვა საკითხი. მაგრამ მოლაპარაკენი მეორე ხარისხოვან საკითხების განხილვას შეუდგნენ, მთავარი საკითხი კი განუხილველი დარჩა.

მიუხედავად ამისა, კამათმა და რეპლიკებმა ბევრი რამ აღმოაჩინა. ჩვენში ამ თათბირმა ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა: თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ, თ-დ ბაგრატიონ-დავითიშვილიდან დაწყებული თავ. პ. თუმანიშვილამდე, ყოველი ღონე უხმარიათ, რომ კახეთის რკინის გზა ხელიდან გამოგვცლოდა. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილმა საქმე სუსტი ხელ-შეკრულებით დაიწყო და რაც მას დააკლდა, მერე თავ. პ. თუმანიშვილმა დაუმატა. ასეთია სურათი. და საზოგადოებრივი აზრიც პასუხს მოსთხოვს არა კერძო პირთ, არამედ მთელს დეპუტატთა საკრებულოს, რომლის ხელშიაც იყო საქმე და კი ვერ მოიხმარა.

ვინ რანაირი როლი ითამაშა ამ საქმეში? ვეცდებით დოკუმენტებით, და არა ცარიელი სიტყვით, გავაშუქოთ ეს საკითხი, რომელიც ჯერაც ისევ მრავალთათვის საიდუმლოების ბურუსითაა მოცული. თუ ამ საქმის პატარა ისტორიას მოვიგონებთ, საკითხის გაშუქება უფრო გაგვიადვილდება.

ჯერ ისევ მაშინ, როდესაც თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი ხელშეკრულობასა სდებდნენ რუსეთ-აზიის ბანკთან, ყველასათვის ნათელი და უცილებელი იყო ის აზრი, რომ კახეთის რკინის გზის ბატონ-პატრონებად ადგილობრივი მკვიდრნი, სახელდობრ, თავად-აზნაურობა, უნდა ყოფილიყვნენ. სწორედ ამ მიზნით დაიტოვა თავ.-აზნაურობამ უფლება 550 ათასი მან. აქციის შეძენისა. 400 ათასი მან. აქციები თავ.-აზნაურობას ჰქონდა, განსაზღვრულ ვადაზე მას უფლება ჰქონდა შეეძინა კიდევ 550 ათასი მანეთის აქციები. ეს სულ ერთად შეადგენდა 950 ათას მანეთის აქციას, რაც სრულს პატრონად გახდიდა თავად-აზნაურობას კახეთის რკინის გზაზე. როგორც პატრონი, იგი, წესდების ძალით, ამოირჩევდ, თავის გამგეობას და საქმესაც ისე წაიყვანდა, როგორც ადგილობრივი ინტერესები მოითხოვდა. მართალია ასეთი იყო აზრი თავად-აზნაურობისა და საზოგადოებისაც, მაგრამ იმათ, ვისაც მისი განხორციელება უნდა ეკისრა, ვერ გამოიჩინეს სასურველი უნარი. სრულიად უსაფუძვლო კარჩაკეტილობამ შეჰქმნა ისეთი პირობები, რომ არა მარტო ფართო საზოგადოება, მცოდნე პირნიც კი, რომელთაც შეეძლოთ დიდი დახმარება გაეწიათ, საშუალებას იყვნენ მოკლებულნი გაეგოთ, რა ჰხდებოდა დეპუტატთა საკრებულოში და რანაირ ხელშეკრულობას სდებდნენ თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი ბანკთან.

სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქმე, ხელ-შეკრულების პირი რომ დეპეშით ეცნობებინათ ტფილისში. მართალია დიდი იურისტები იქნება არა გვყავნდნენ, მაგრამ მაინც არიან ისეთები, რომელნიც დამშვიდებულის გულით განიხილავდნენ ხელშეკრულებას და აღმოაჩენდნენ მის სუსტ მხარეს. თავად-აზნაურობის რწმუნებულნი და მათ შორის თ-დი ბაგრატიონ-დავითიშვილიც ასე არ მოიქცნენ, და შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ გამოუცდელი წარმომადგენელნი ხელში ჩაუვარდათ ფინანსიურ საქმეებში გამოქნილ პირებს. ხელ-შეკრულობას რომ ის კაცი დაგიწერს, რომელიც ითვლება იურისკონსულად იმავ ბანკისა, რომელსაც ხელ-შეკრულობით ეკვრები, ამაზე მეტი გამოუცდელობა განა კიდევ წარმოსადგენია„ ბანკმა მოხერხებულად გააბა თავის ქსელში თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი და დაითანხმა ისეთს პირობაზე რომელიც საშუალებას აძლევდა მათ მოეხდინათ ის, რაც შემდეგ მოჰხდა. ესეც შედეგია წინდაუხედაობისა. მას შემდეგ, რაც ბანკმა უზრუნველჰყო თავისი უფლება, მალე კიდეც ისარგებლა მით. ამ რიგად, თუ შემდეგ კახეთის რკინის გზას საფრთხე დაატყდა თავსა, ამის ბრალი უპირველესად ყოვლისა მიუძღვით მათთ ვინც სათავეშივე არ უზრუნველჰყო თავად-აზნაურობის უფლებანი.

ამ რიგად შესაძლებელი გახდა ბანკის მხრით კახეთის რკინის გზის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა, და თავად-აზნაურობაც ერთბაშად ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ დაჰკარგა პატრონობა ამ რკინის გზაზე. თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ჩვენი ქვეყნისთვის ამ პატრონობას, ეს ნათლად გამოჩნდება, თუ ვარშავა-ვენის რკინის გზის ამბავს მოვიგონებთ. ვარშავა-ვენის რკინის გზა პოლონელების ხელში იყო. ამ რკინის გზით პოლონელებმა ფართოდ ისარგებლეს. გააძლიერეს პოლონელი ელემენტი რკინის გზაზე. არამც თუ მოხელეებს, პოლონელ მუშებსაც კი გაეხსნათ გზა. საკანცელარიო მიწერ-მოწერაც კი ამ რკინის გზაზე პოლონურ ენაზე სწარმოებდა. ვერ ვიტყვით, რომ ქართველებიც ასე გამოიყენებდნენ კახეთის რკინის გზას. ვერ გამოიყენებდნენ არა იმიტომ, რომ **უფლება** არ ექნებოდათ, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოდ ჩვენ ნაკლებადა გვაქვს განვითარებული უნარი ეროვნული თავის დაცვისა. მიუხედავად ამისა, კახეთის რკინის გზის პატრონობა დიდს სარგებლობას მოგვიტანდა. რა ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა ვარშავ-ვენის რკინის გზას პოლონელებისთვის, ამას იქიდანაც დავინახავთ, რომ ფინანსთა მინისტრმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოკოვცევმა სათანადო კანონ-პროექტის შეტანით გამოისყიდა ვარშავ-ვენის რკინის გზა, თუმცა ეს გამოსყიდვა დიდი თანხის გადადებას მოითხოვდა ხაზინიდან. მკითხველს უნდა ახსოვდეს, რა აურზაური გამოიწვია ამ საკითხმა სახელმწიფო სათათბიროში, რა არგუმენტებით იცავდა კოკოვცევი თავის პოზიციას და რა პასუხს აძლევდნენ მას პოლონელი დეპუტატები.

ამ საგანზე დიდხანს გაჩერება არ დაგვჭირდება. არა გვგონია გამოიძებნოს თუნდა ერთი ისეთი ადამიანი მაინც, თუ ეს ადამიანი ბ-ნი გ. გვაზავა არ იქნება, რომ ამტკიცოს, კახეთის რკინის გზაზე პატრონობა ჩვენთვის არაფრით არ იქნება სასარგებლოვო. წინააღმდეგს ნიადაგზე იდგა თავად-აზნაურობა და სცდილობდა კახეთის რკინის გზა ხელიდან არ გაეშვა. მაგრამ ერთბაშად იბადება ახალი მომენტი, რომელიც ძირიან ფესვიანად სთხრის თავად-აზნაურობის იმედებს. კახეთის რკინის გზის გამგეობა (იგულისხმე ბანკი, რადგანაც თავად-აზნაურობას ჯერ შეძენილი არა ჰქონდა დანარჩენი 550 ათას მანეთის აქციები) სწყვეტავს, გააგრძელოს კახეთის რკინის გზა ბაქომდე და ამისთვის წესდებაშიაც სათანადო მუხლები შესცვალოს. აქედან იწყება ბრძოლა, ჩუმი, მა-

გორც კახეთისათვის, ეს იგი გამოსარკვევია ქართლისთვისაც. ამიტომ არის საჭირო სადღელი ვენახები.

**თავმჯდომარე** სთხოვს ბ. ხეთაგურს თავისი აზრი გამოსთქვას ქართლის შესახებ.

**ბ. ხეთაგური.** გორის მაზრა რამდენიმე ნაწილად იყოფა. ქსნისა, ლეხურისა, ლიახვისა და კავთისხევის ნაწილი—სულ მეხილეობისაა, მტკვრის სანაპირო ადგილები კი—მევენახეობისა. დუშეთის მაზ.—მხოლოდ მეხილეობისა, აქ ყურძენზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მუხრანი—მომეტებულად მევენახეობისა აი ასე შეგვიძლიან დავყოთ ქართლი. მიწის 25—30% გამოსადეგია ვაზისათვის.

**ვ. რცხილაძე** თუმცა გეგმა მოვისმინეთ, მაგრამ ვერაფერს ვერ დავადგებით. ამ საკითხს ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს გამოვარკვევთ.

საბჭომ დაადგინა მოხსენება მხედველობაში იქონიოს ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს.

**ვ. რცხილაძემ** მოახსენა კრებას, რომ საბჭოს დავალებით მესაქონლეობის სექციამ შეიმუშავა მოხსენება, რომელსაც ოთხი სალამო მოანდომა. ეს მოხსენება საზოგადო მოსაზრებაა, საფუძველია იმ სამოქმედო გეგმისა, რომელიც უნდა შემუშავდეს. ამას მოჰყვება ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება. სექციამ საჭიროდ სცნო, რომ საჭიროა ჩვენი საქონლის ვარგისობის შესწავლა და გადასწყვიტა: კაიშაურის ველი უნდა იყოს ცნობილი ერთ იმ ადგილთაგანა სადაც: 1) მცხოვრებნი მისდევენ მხოლოდ მეწველ საქონლის მოშენებას და მერძევეობას. სხვა საცხოვრებელი სალსარი მათ არა აქვთ; 2) მინაური შერჩევით ძროხის გაუმჯობესება უფრო ადვილი მოსახერხებელია; 3) მეწველი საქონელი უკვე ცნობილია თავისი ღირსებებით და 4) ყოველ შემთხვევაში საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად ესეთი მოწყობილობა თუ დღეს არა, ახლო მომავალში მაინც უსათუოდ საჭირო იქნება, რადგან მთიულეთი ალპიის წონას ეკუთვნის და ბარში მოწყობილი გამოკვლევა ამ ადგილისათვის არ გამოდგება. მაგრამ ასეთი მუშაობა საგრძნობელ ნაყოფს მალე ვერ გამოიღებს. დღეს დაწყებული სამუდამოდ იქნება იგი საჭირო და რაც მეტი ხანი გასტანს, იმდენად უფრო ძლევა-მოსილი გახდება, როგორც ფაქტორი წარმატებისა. მაგრამ რადგანაც ჩვენი ხალხის მდგომარეობა დღესვე თხოულობს დახმარებას. როგორც ყოველი სხვა დარგი, ისე მესაქონლეობის ნაწარმოებიც თხოულობს ბაზარს. ჩვენი ერთად ერთი და უახლოესი ბაზარი ჩვენი დედა ქალაქია. ვიდრე შორით მოსული ელემენტები მოასწრებდნენ ამ ბაზრის მთლად ხელში ჩაგდებას შორიდან მოზიდულ საქონლის გასასაღებლად, როდესაც ყოველი მეტოქეობა ერთი ასად გაძნელდება, უნდა შევეცადნეთ ეს უკანასკნელი აქედანვე ისე დავრაზმოთ, რომ თავიანთის მწყობრი მიზან-შეთანხმებული მოქმედებით ალყა შემოარტყან ამ ბაზარს კარგი ღირსების და იაფფასიან საკუთარ ნაწარმოების უხვად მიზიდვით. ერთ-ერთ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს რძე და მისი გასაღება ტფილისში, სადაც რძე ერთიათად მეტს სარგებლობას გამოიღებს, დღესაც რომ ვაჭრობა წესიერად იყოს დაყენებული. მომქმედ რაზმად უნდა დაისახოს მერძევეთაგან დაარსებული კოოპერატივები ქალაქის გარშემო, საიდანაც კი ადვილი და ხელმისადგომი იქნება რძის ჩამოტანა. სექციამ გაითვალისწინა ასეთი გეგმით მოქმედება და გადასწყვიტა მომავალ წლიდანვე შეუდგეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კოოპერატიულ სექციასთან ერთად ზემოხსენებულ კოოპერატივების დაარსებას ტფილისის გარშემო სოფლებში, სადაც თანახმად მიღებულ ცნობებისა, უკვე მომწიფებულია ნიადაგი ამგვარი კოოპერატივების დასაარსებლად. ამასთანავე სექცია საჭიროდ სთვლის მოაწყოს აქ ტფილისში ჯერ პირველხანად პატარა ზომის მერძეების ცენტრალური სადგური, სადაც ყოველ დღე მიიზიდება ის რძე, რაც გაუყიდავი დარჩება და კარაქად შეიდღვიბება. ასეთ მარტივ დანიშნულებისათვის მოწყობილი სადგური შეძლებისა დაგვარად გააფართოვებს მოქმედების ფარგალს, შეიძლება თვით გახდეს ცენტრალურ სავაჭრო ადგილადაც, მხოლოდ დაარსებისათანავე ზოგადად შეასრულებს ბიუროს ფუნქციას რძის მყიდველების გამოძებნით.

ასეთი პრაქტიკული დანიშნულება მიეცემა ერთის მხრივ კაიშაურის სადგურსაც, რომლისთვისაც სექცია ჰფიქრობს, შეიძინოს 6—8 მეწველი ძროხა და შესწავლა გამოკვლევასთან ერთად მოაწყოს წველაც, რომ მიღებული ნაწარმოების განადგებით სადგურს მიეცეს შესაფერი შემოსავალიც. მოქმედების გასაფართოვებლად ამ მხრივ სადგური თვითონვე მიიბარებს ძროხებს მეზობლებიდანაც და შეერთებული საქონლის წველვის მოწყობით მეტ შემოსავალს მიაღებინებს პატრონს თითოეულ ძროხიდან.

(დასასრული იქნება)

# სასამართლო

**ქმრის მოკვლა.**

ტფილისის სამოსამართლო პალატაში 19 დეკემბერს, გაირჩა საინტერესო საქმე არაქსია დანიელოვის ცოლისა და ამბარცუმ ბალასანოვის, რომელთაც ბრალად ედებოდათ ბათომში 1907 წლის 2 დეკემბერს წინასწარ განზრახვით ვაჭარ გრიგოლ მიხეილის ძე დანიელოვის მოკვლა. მოკლული იყო არაქსიას ქმარი და ამბარცუმის მკვიდრი ბიძა. საბრალმდებლო ოქმის მიხედვით საქმის ვითარება ასეთია. 1907 წ. 1 დეკემბერს, ღამის ორ საათზე არაქსიამ და ამბარცუმმა ყვირილი ასტეხეს. ყვირილზე მისულებს აუხსნეს, რომ ყაჩაღები დაეცნენ, ის კი ხოლო არა სთქვეს რომ გრიგოლ დანიელოვი მოკლულია.

არაქსიამ შემდეგი ჩვენება მისცა; ორ საათზე გამომეღვიძა და დავინახე ვიღაც კაცი, რომელმაც კბილებში ჩამარტა, შემდეგ ჩემს ქმარს რევოლვერი ესროლა და გაიქცაო. ქალის ჩვენებით მკვლელი ბაგიჯაინი იყო.

მოწმეებისა და სხვა საბუთების მიხედვით სასამართლო იმ დასკვნას დაადგა რომ მკვლელობა გაძარცვის აზრით არ მომხდარა, რადგან გაძარცული არაფერი არ აღმოჩნდა; 2) მკვლელობა ბაგიჯიანს არ ჩაუდენია; 3) მკვლელობა სახლში მყოფების ჩადენილია; 4) რომ ბრალდებულთ ურთიერთშორის დამოკიდებულობა ჰქონდა სიყვარულის ნიადაგზე; 5) მკვლელობის ჩადენა შეეძლო მხოლოდ არაქსიას და ამბარცუმს.

ამის გამო სოფ. ხაკენდის (შუშის მაზრა) მცხოვრებს ამბარცუმ ბალასანოვს და ქ. შუშის მდაბიო მოქალაქეს არაქსია დანიელიანცის ცოლს კან. დებულებათა 1450 და 1451 მუხ. ძალით საოლქო სასამართლომ ყოველი ღირსებისა და ქონების ჩამორთმევა და უვადო კატორღა გადაუწყვიტა.

განაჩენი ბრალდებულებმა განასაჩივრეს სამოსამართლო პალატაში. იცავდნენ ნაფ. ვექ. კლანკი, არწუნი და ესსენი.

პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

# მცირე შენიშვნა

(ბ-ნ გ. იოსელიანის წერილის გამო).

ჩვენმა პატივცემულმა პედაგოგმა ბ-ნმა გ. იოსელიანმა „სახალხო გაზეთის" № 770-ში საყურადღებო შენიშვნა დასტამბა. ეს შენიშვნა ეხება ჩვენი განსვენებული პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს" მე-II ნაწილის გამოცემას „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მიერ. ზოგს შეიძლება ეგონოს ვითომ გამგეობა ჰფიქრობდეს ამ სახელმძღვანელო წიგნის შეცვლას იმ ნაირად, რომ დაუვიწყარის პედაგოგის სახელი და ნიჭი შებღალული იქნეს ამით. ეჭვს გარეშეა, რომ განსვენებულის ყველა პატივისმცემელნი ვალდებულნი არიან დარაჯად ედგნენ მისს სახელმძღვანელო წიგნებსაც და არ დაამჩნიონ მათ განსვენებულის შემდეგ ობლობა. მეც ერთ დარაჯად მომაქვს თავი და ვმუშაობ იმ სექციაში, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მიანდო ამ სახელმძღვანელოს გადათვალიერება, შესწორება, შევსება და დასაბეჭდად დამზადება. ამ რიგად შესწორებულს და დასაბეჭდად დამზადებულს სახელმძღვანელოს სექცია წარუდგენს გასასინჯად მთელს გამგეობას და მოწონების შემდეგ დაიბეჭდება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ შესწორებაში არავინ უნდა იფიქროს, ვითომ ვისმე უნდოდეს ძირითადი ცვლილების მოხდენა. ეს შეუძლებელიც არის და არც საჭიროა. მოგეხსენებათ, რომ „რუსკოე სლოვო" ამ რამდენისამე წლის განმავლობაში სრულიად უცვლელად იბეჭდებოდა. ამას გარდა ტექსტში კორექტურის წყალობით მრავალი შეცდომა რჩებოდა, ბოლოს კლიშეებიც დაძველდა და საჭირო შეიქნა ზოგი მასალის დამატება და ზოგი არსებულის მასალის უკეთ დასურათება. ყველა ამას განსვენებული სიცოცხლეშივე ჰგრძნობდა და რომ დასცლოდა შემდეგ გამოცემისთვის აპირებდა კიდეც შესწორებას. პირადად ბევრჯელ გვისაუბრნია ერთად ამ საგნის შესახებ და კარგადაც ვიცი განსვენებულის აზრები. არსებითი მხარე წიგნისა სრულიად უცვლელი უნდა დარჩეს. მეც პირადად იმიტომ ვიკისრე მონაწილეობის მიღება ამ პასუხსაგებ სამუშაოში, რომ დარწმუნებული ვარ, ეს შესწორება ეხება უფრო ტეხნიკურ მხარეს, გაუმჯობესებულს გამოცემას, მთელი სისტემა სახელმძღვანელო წიგნისა, მასალების დალაგება სისტემატიურად თანდათანობით და ბევრიც რამ სხვა სრულიად უცვლელი დარჩება, შეიძლება მხოლოდ ზოგი მასალა შესაფერისს ადგილას ან ჩაერთოს, ან რომელიმე გამოაკლდეს, წიგნი უკეთ დასურათდეს, ზოგან და ზოგან საჭიროების დაგვარად ტექსტიც შესწორდეს. ყველა ამას, ვიმეორებ, განსვენებული უკვე სიცოცხლეშივე ჰფიქრობდა და, მგონია, განსვენებულის სული უკეთ გაიხარებს, როცა შთამომავლობა მისს ნაღვაწს მოწიწებით უვლის, ჰპატრონობს და არა უკუაგდებს. რასაკვირველია ეს სახელმძღვანელო ისე უნდა დაიბეჭდოს, რომ შემდეგ რამდენსამე წელს მაინც შეცვლა არაფერში მოუნდეს. და თუ ხელახლად შესწორება საჭირო შეიქმნა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, როგორც დღეს, მაშინაც ვალდებული იქნება გაითვალისწინოს ის, რასაც განსვენებული ამ საქმეში ანდერძით ავალებს საზოგადოებას. მართალია ეს სამუშაოც ფრიად პასუხსაგები საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ ამით არც საქმეს და არც განსვენებულის დაუვიწყარი მოღვაწის სახელს არა ევნება რა, ყველაფერს საქმის ბოლო დაგვანახვებს. მე კი მჯერა, რომ ახალი გამოცემა „რუსკოე სლოვოსი" სწორედ ისეთი იქნება, როგორიც ჰსურდა და ყოფილიყო განსვენებულ მისს ავტორს. განსვენებული ჰგრძნობდა ზოგიერთ სუსტ მხარეს სახელმძღვანელოებში და ამიტომაც ანდერძში მოიხსენა შესწორების წესრიგიც, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ სასტიკად უნდა დაიცვას.

**ლ. ბოცვაძე.**

# ბიბლიოგრაფია

**შ. მღვიმელის „ოქროს თავთავი".**

ჩვენი კაზმულ მწერლობის ყოველი დარგი დიდ კრიზის განიცდის, როგორც საერთოდ მთელის რუსეთისაც, მაგრამ ჩვენში უფრო მეტად საგრძნობელია საყმაწვილო მწერლობის სიღარიბე. ამ მხრივ, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენც მოგვევლინება ერთად-ერთი პოეტი, რომელიც სიყრმიდანვე შეეთვისა და შეეწყო ბავშვების სულსა და გულს, მათის გულის განუყრელი მეგობარი და მესაიდუმლე გახდა. მე მოგახსენებთ ბ-ნ შიო მღვიმელზე. მისი ლექსი მსუბუქია, შინაარსი სინამდვილეზე აგებული, გადმოცემა სადა და უბრალო, ვით თვით განცდანი ბავშვისა. მის ლექსებს სიამოვნებით წაიკითხავს დიდიც და პატარაც. ამ წუთს ჩემს წინა ძევს „ნაკადულის" რედაქციის მიერ გამოცემული პატარა წიგნაკი ბ-ნ შიო მღვიმელისა, „ოქროს თავთავი". ეს წიგნი მართლა—და სანუკვარი საახალწლო საჩუქარია ბავშვებისათვის. სასურველია, რომ ასეთი, ბავშვების წამახალისებელი, წიგნაკები ხშირად გამოიცეს და ყოველ ოჯახში მოიპოვებოდეს წიგნაკი დასურათებული და ღირს სამშაურად.

**ცრემლი.**

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

19 დეკემბერი.

**სამშვიდობო კონფერენცია.**

**ლონდონი.** სამშვიდობო კონფერენციის დელეგატები შეიკრიბნენ 3 საათზე საბერძნეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. სხდომა ურთიერთთა წინადადებებს იხილავდა. 4 საათსა და 30 წუთზე სხდომა შესწყდა. დელეგატებმა ჩაი დალიეს. შემდეგ ოსმალეთის წარმომადგენელნი ცალკე ოთახში შევიდნენ სათათბიროდ. დანარჩენი დელეგატები ოსმალთა გადაწყვეტილებას ელიან.

**ლონდონი.** კონფერენციის სხდომა გათავდა შვიდის ნახევარზე. შემდეგი სხდომა პარასკევს იქნება. ცხარე კამათი იყო. მუშაობამ ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა. გაზეთების ცნობით, ბერძნების დელეგატებს განუცხადებიათ: ოსმალები მაკედონიის და ეპირის საკითხში დაგვითმობენ, მხოლოდ ალბანეთის საკითხი დიდ სახელმწიფოთა სამსჯავროს გადაეცემაო. ოფიციალურ ცნობით, ოსმალეთის დელეგატებმა წარუდგინეს წინააღმდეგი წინადადებანი, რომელნიც უკვე განხილული იყო. ზოგიერთ საკითხში შეთანხმება მოხდა. ზოგიერთი საკითხი პარასკევისთვის გადაიდო.

**ბულგარეთი.**

**სოფია.** პარლამენტის სესიის პირველი ნაწილი უკვე დასრულდა. ეროვნული კრება შეიკრიბება 15 თებერვალს.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** ხმები დადის, ვითომც ქიამილ-ფაშას შეუკრებია პორტაში მთავარ შტაბის ოფიცრები და გამოუკითხავს: შესაძლებელია თუ არა ომის გაგრძელებაო. ოფიცრებს უთქვამთ, რომ სერიოზული დაბრკოლება ომის გაგრძელების წინააღმდეგ არ არის, მაგრამ უკეთესი იქნება ზავი ჩამოვარდეს, ხელსაყრელ პირობებითაო. ქიამილ-ფაშის თხოვნით ოფიცრებმა თავის გადაწყვეტილებას ხელი მოაწერეს.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები**

**ლონდონი.** რეიტერის ცნობებით, ელჩთა კონფერენცია, რომლის სხდომაც ხუთშაბათს განახლდება, არ შეუდგება ალბანეთის საზღვრების დაუყოვნებლივ განხილვას, რადგანაც ეს საკითხი საერთოდ და კერძოდ სკუტარის საკითხს შეადგენს რომისა და ვენის მიწერ-მოწერის საგანს. როცა ავსტრია და იტალია რაიმე გადაწყვეტილებას დაადგებიან, მაშინ ელჩთა კონფერენცია განიხილავს ამ საკითხსაცო.

**ბუხარესტი.** დეპუტატთა პალატა. პროფესორმა იორგამ სთქვა: გარეშე პოლიტიკაში რუმინია და რუსეთი ერთმანეთს დაუახლოვდნენო. რუსეთი რუმინელების ინტერესებისათვის ზრუნავს. ავსტრიისათვის უფრო საჭიროა რუმინია, სანამ რუმინიისათვის ავსტრია. ავსტრია ავიწროვებს ტრანსილვანიაში რუმინიას; მასთან საჭიროა სხვა კილოთი მოლაპარაკება. რუმინელებს სლავიანებთან ერთად უნდა იყვნენ (ტაში).

**გაზეთებიდან.**

**სამშვიდობო მოლაპარაკება**

**ოსმალეთის პირობები.**

**ლონდონი.** ამ თვის თხუთმეტს სამშვიდობო კონფერენციის კრებაზე მორიგე თავმჯდომარემ რეშიდ-ფაშამ განაცხადა: ოსმალეთი ვერ მიიღებს ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირის საზავო პირობებს. თავის მხრივ ოსმალეთი აღგენს შემდეგ პირობებს:

**პირველი.** ადრიანოპოლი და მისი ვილაიეტი ოსმალეთს დარჩება, მისივე მართვა-გამგეობით.

**მეორე.** ოსმალეთი განახორციელებს მაკედონიაში ავტონომიას, რომელსაც სათავეში ედგება ერთ-ერთი პრინცი პროტესტანტების სარწმუნოებისა; მას აირჩევს ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი ნეიტრალ სახელმწიფოთა პრინცების შორის. ავტონომიური მაკედონია სულთანის პროტექტირატს დაემორჩილება; ექმნება თავისი პარლამენტი და სატახტო ქალაქად—სალონიკი.

**მესამე.** ოსმალეთი ავტონომიას შემოიღებს ალბანეთში, რომლის სათავეშიაც იდგება ოსმანთა ჩამომავლობის ერთ-ერთი პრინცი, ხუთის წლით ამორჩეული. ალბანეთსაც მიენიჭება საკუთარი პარლამენტი. ალბანეთის სატახტო ქალაქი არ არის აღნიშნული და არც ისაა მოხსენებული თუ ვინ ირჩევს პრინცს.

**მეოთხე.** კუნძულ კრიტეს საკითხს კონფერენცია ვერ განიხილავს, რადგანაც ეს კუნძული დიდ სახელმწიფოს მფარველობას ექვემდებარება.

**მეხუთე.** კუნძულების დათმობა არ შეიძლება, რადგანაც ისინი ევროპის ოსმალეთის ფარგალში არ შედიან, არამედ ანატოლიაზე არიან მიწერილნი".

---

გრამ მაინც ფრიად საყურადღებო ბრძოლა თავად-აზნაურობისა და ბანკს შორის.

იურიდიული საშუალება ბრძოლისა თავად-აზნაურობას არა ჰქონდა. ხელ-შეკრულობის ძალით, თუ ამ ხელ-შეკრულობას მხოლოდ ფორმალურის თვალსაზრისით შევხედავთ, ბანკს შეეძლო აღეძრა შუამდგომლობა კახეთის რკინის გზის გაფართოვების შესახებ. ამ ნიადაგზე რომ თავად-აზნაურობას ვერ შეეძლო ბრძოლის გაწევა, ეს შემდეგ მომხდარმა ამბებმაც დაგვიმტკიცა. მაშასადამე, საჭირო იყო სხვა რამ საშუალება. თავად აზნაურობას ან უნდა რაც შეიძლება მალე შეეძინა 550 ათასი მანეთის აქციები და ფაქტიური პატრონი გამხდარიყო კახეთის რკინის გზისა, ან კიდევ გავლენა მოეხდინა სამინისტროზე.

1912 წლის 17 მაისს თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი ატყობინებს დეპუტატთა საკრებულოს: „1912 წლის 1 მაისს მოჰხდა კახეთის რკინის გზის საზოგადოების აქციონერთა საზოგადო კრება, რომელმაც დაადგინა: დაევალოს კახეთის რკინის გზის გამგეობას, აღძრას სათანადო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობა რკინის გზის გაგრძელების შესახებ წნორის წყალიდან ბაქომდე". დ. ე. ჩოლოყაშვილს შეუტანია განცხადება რუსეთ-აზიის ბანკსა და კახეთის რკინის გზის გამგეობაში, ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდეთ თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ საგუბერნიო კრებამდე, რომელიც 1912 წლის 27 მაისს უნდა მოჰხდესო. დ. ე. ჩოლოყაშვილის მოხსენების წაკითხვის შემდეგ დეპუტატთა საკრებულომ დაადგინა, გაეგზავნოს თავად-აზნაურობის მხრით დანიშნულ დირექტორს ბ-ნ ზ. ავალიშვილს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „შეგვატყობინეთ, რა მდგომარეობაშია კახეთის რკინის გზის გაგრძელების საკითხი. შევიდა თუ არა კანონიერ ძალაში 1 მაისის დადგენილება. მიაქციეს თუ არა ყურადღება განსაკუთრებულ აზრს" *) ამ დეპეშის საპასუხოდ ბ-ნი ზ. ავალიშვილი დეპეშითვე სწერს: „შეთანხმება მომზადებულია, მაგრამ ჯერ ხელი არ მოუწერიათ გზათა მინისტრის განკარგულებით წესდების შეცვლის საკითხი, რასაც ითხოვს რკინის გზის გაგრძელება ბაქომდე, მეორედ უნდა იქმნას განხილული. ეს განსაკუთრებულ აზრის შედეგია." ბ-ნ ავალიშვილის ეს დეპეშა დეპუტატთა საკრებულომ განიხილა 23 მაისს და, სხვათა შორის, დაადგინა: გაეგზავნოს დეპეშები ფინანსთა მინისტრს, ნამესტნიკს და რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორს. ეს დეპეშები დაახლოვებით ასეთი შინაარსისაა: დეპუტატთა საკრებულო ყველა ზემოდ ჩამოთვლილ პირთ სთხოვს, შეაჩერონ კახეთის რკინის გზის გამგეობის შუამდგომლობა იმ დრომდე, სანამ კრებები დასრულდება და თავად-აზნაურობას საშუალება მიეცემა გაჰგზავნოს პეტერბურგში განსაკუთრებული დეპუტაცია.

*) განსაკუთრებული აზრი აქციონერთა საზოგადო კრებაზე შეიტანა დირექტორმა ზ. ავალიშვილმა, ხოლო განცხადება—დ. ე. ჩოლოყაშვილმა.

თავად-აზნაურთა საზოგადო კრების 31 მაისის სხდომაზე ბაგრატიონ-დავითიშვილი სვამს საკითხს: „იღებს თუ არა საზოგადო კრება დეპუტატთა საკრებულოს წინადადებას იმის შესახებ, რომ მას, დეპუტატთა საკრებულოს მიენდოს კახეთის რკინის გზის საქმის წარმოება?" ეს წინადადება მიღებულ იქნა 80 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 16.

ამ რიგად, დეპუტატთა საკრებულოს დაევალა, კახეთის რკინის გზის საქმის წარმოება იმ მიზნით, რომ დაცული ყოფილიყო ჩვენი ადგილობრივი ინტერესები. რა მოჰხდა ამის შემდეგ? ამის შემდეგ მოჰხდა ის, რომ ბაგრატიონ-დავითიშვილი გააშავეს. კეთილი და პატიოსანი. თუ ბაგრატიონ-დავითიშვილი არ იყო, მისი თანამდებობის აღმასრულებელი ხომ იქნებოდა? ცხადია, ბაგრატიონ-დავითაშვილის თანამდებობის აღმასრულებელს უნდა ეკისრა იმის განხორციელება, რაც საზოგადო კრებამ დაავალა დეპუტატთა საკრებულოს.

მართლაც, ბ-ნი საგინაშვილი ჯერ ისევ ცდილობს მსვლელობა მისცეს საკითხს 1912 წ. 8 ივნისს ბ-ნი საგინაშვილი უგზავნის ბ-ნ ავალიშვილს გრძელ დეპეშას, რომელშიაც, სხვათა შორის, ეკითხება, რა მდგომარეობაშია კახეთის რკინის გზის საქმე, საჭიროა თუ არა საჩქარო ზომების მიღება, გამოგზავნა დეპუტაციისა და სხვა?" ამაზე ბ-ნი ზ. ავალიშვილი დეპეშითვე უპასუხებს: „გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა რომ კონცესია (სიღნაღ-ბაქო) მიეცეს კახეთის რკინის გზის საზოგადოებას, რადგანაც პ. თუმანიშვილმა, ტაგიანოსოვმა და ფეოდოროვმა პრიორიტეტი ამ საზოგადოებას გადასცეს. **დეპუტაცია სარგებლობას მოიტანს, მხოლოდ იმ ერთი პირობით, თუ მას ნამესტნიკი დაუჭერს მხარს. ამ ცნობებით, რომელიც მე მაქვს ხელთ, თუმანიშვილსა და კამპანიისთვის დახმარება აღუთქვამთ.** (კურსივი ყველგან ჩვენია).

ამ რიგად, ბ-ნ ზ. ავალიშვილს არამც თუ საჭიროდ მიაჩნდა ამ საქმის გამობრუნება, არამედ შესაძლებლადაც, თუ ნამესტნიკი მხარს დაუჭერდა თავად-აზნაურობას. ერთს წერილში ხომ ბ-ნი ზ. ავალიშვილი კატეგორიულად აცხადებს: „თავად-აზნაურობას შეუძლიან მიაღწიოს იმას, რომ ხელმძღვანელობა რკინის გზაზე (იგულისხმე კახეთის რკინის გზა) მას შერჩეს".

ამისთვის საჭირო იყო საქმის ამოძრავება და წინ წაწევა. საჭირო იყო ისეთი ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა საქმეს და ამასთანავე ერთად სისრულეშიაც მოიყვანდა თავად-აზნაურთა საზოგადო კრების დადგენილებას. მაგრამ შეც უბედურებაც ის არის, რომ ამ საქმეს აღმასრულებელი აღარა ჰყავდა. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი გააშავეს და მისმა მოადგილემ, თავ. პ. თუმანიშვილმა კი ყური წაიყრუა. ბ-ნმა საგინაშვილმა რომ დეპეშით აცნობა თავ. პ. თუმანიშვილს, ცოტა ხანს პეტერბურგში მოიცადეთ, დეპუტაცია უნდა მოვიდესო, თავ. პ. თუმანიშვილმა უპასუხა; რა საჭიროა დეპუტაცია, რა უნდა გააკეთოს, რისთვის მოდისო. თუ უნდა შეერთებას ხელი შეუშალოს, მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მომხრე ვარ შეერთებისა და ამიტომ ვერც ვერაფერში დაგეხმარებით. თუ რანაირად მოქმედებდა ასეთი ყურის წაყრუება საქმეზე, ეს, სხვათა შორის, სჩანს ერთს საყურადღებო დოკუმენტიდან, რომელიც აქვე მოგვყავს.

1912 წლის 15 ნოემბერს ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა მინისტრთა საბჭოში წარადგინა მოხსენება — № 14324, რომელშიაც კოკოვცევი, სხვათა შორის, სწერს: „24 მაისს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა ბაგრატიონ-დავითიშვილმა, თანახმად თავად-აზნაურობის საზოგადო კრების დადგენილებისა, იშუამდგომლა ფინანსთა და გზათა მინისტრების წინაშე, შეჩერებულ იქმნას განხილვა შუამდგომლობისა კახეთის რკინის გზის გაფართოვებისა და საზოგადოების წესდების სათნადო მუხლების შეცვლის შესახებ. ამასთანავე მან განაცხადა, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, როგორც ინიციატორი კახეთის რკინის გზისა და კარგა ბლომად მქონე ხსენებულ გზის აქციებისა, საზოგადო კრებების გათავების შემდეგ გამოგზავნის პეტერბურგში დეპუტაციას; ეს დეპუტაცია წარადგენს თავის მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა, თავად-აზნაურთა არსებითი ინტერესების შეუბღალველად. **მიუხედავად თავად-აზნაურთა წინამძღოლის ასეთ კატეგორიულ განცხადებისა, დღემდე არავის არავითარი მოსაზრებანი არ წარმოუდგენია**".

ამას ამბობს პრემიერ-მინისტრი კოკოვცევი მინისტრთა საბჭოს იმ სხდომაზე, რომელზედაც კახეთის რკინის გზის ბედ-იღბალი სწყდებოდა. მაშასადამე, პრემიერ-მინისტრი კოკოვცევი ჯერ ისევ უწევდა ანგარიშს თავად-აზნაურობის აზრს და უკანასკნელ წუთამდე ელოდა თავად-აზნაურობისაგან დეპუტაციას. დეპუტაცია კი ვერ იქნა და ვერ გაიგზავნა პეტერბურგში. რატომ? იმიტომ, რომ თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილი გადააყენეს და დეპუტატთა საკრებულოს სათავეში მოექცა თავ. პ. თუმანიშვილი, რომელიც წინააღმდეგი იყო იმისი, რომ კახეთის რკინის გზის ბატონ-პატრონობა თავად-აზნაურობას შერჩენოდა ხელში.

**ბ. ბარელი.**

(დასასრული იქნება)

პირველად დანევმა უპასუხა: ამ ნიადაგზე ეხლა მოლაპარაკების გაგრძელება არ შეიძლება. ამის თაობაზე ლაპარაკი შეიძლებოდა 5 ოქტომბრამდე. (5 ოქტომბ. ომი დაიწყო). ახლა საკითხი იურიდიულ ფორმებს კი არ ეხება, არამედ ტერიტორიალურ ცვლილებას.

მერე ნოვაკოვიჩმა ილაპარაკა და დანევის მოსაზრებას მიემხრო. მან განაცხადა: ასეთ განცხადების გარეგანი ფორმაც გაუგებარია. რა არის მაკედონია? დღევანდლამდე იყო სალონიკის ვილაიეტი, კასოვოს ვილაიეტი და სხვა. თვითონ სიტყვა „მაკედონია“ ოსმალეთში აკრძალული იყო. მაკედონია ორიათასი წლის წინადაც არსებობდა. ოსმალეთი აგრეთვე არაოდეს არ ურიგდებოდა თვითონ სიტყვასაც კი „ალბანეთი“. რა არის ალბანეთი?“ ნოვაკოვიჩიც დანევის სიტყვებითათავებს: ამ ნიადაგზე ახლა მოლაპარაკება არ შეიძლება.

შემდეგ ილაპარაკეს ვენიზელისმა და გიუშკოვიჩმა, მათაც ასე დააბოლოვეს: ამ ნიადაგზე მოლაპარაკება არ შეიძლება.

კრება შესწყვიტეს. მოკავშირეთა დელეგატებმა ოსმალეთის პირობები გადაიწერეს კრების განახლებისას, თავმჯდომარე რეშიდ-ფაშამ სთხოვა დელეგატებს მოლაპარაკებას ნუ შესწყვეტთ თქვენს პასუხს პორტას ვაცნობებ და სხდომა ორშაბათს, 4 საათზე მოვახდინოთო. დელეგატები დასთანხმდნენ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

19 დეკემბერი

## საზღვარ-გარედ

**მადრიდი.** ახალ კაბინეთის წევრნი არიან: პრეზიდენტი რომანონესი, შინაგან საქმეთა მინისტრი ალბა, გარეშე საქმეთა—ნავარო რევერტერ, სამხედრო გენ. ლიუკი.

**ნიუ-იორკი.** ძოსამსახურეთა კავშირმა დაადგინა დაუყონებლივ მოახდინოს ყველა მოსამსახურეთა და ნიუიორკის სასტუმროთა მოსამსახურეების გაფიცვა.

**ტოკიო.** გაზეთები ჰქედავენ რუსეთ-მონღოლეთის ხელშეკრულების ტექსტს და დასძენენ, რომ რუსეთის დიპლომატიამ ფაქტიურად მონღოლეთი რუსეთის პროტექტორატს დაუმქვემდებარაო.

## რ უ ს ე თ ი.

### შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი მაკლაკოვი.

**ჩერნიგოვი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ მაკლაკოვმა გამომშვიდობისას დაიარა ყველა საქველმოქმედო დაწესებულებანი.

**ჩერნიგოვი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგესთან შეიკრიბნენ ყველა უწყებათა, დაწესებულებათა და წოდებათა წარმომადგენელნი. მიიღო ძილოცვა, მაკლაკოვმა ხელმწიფე იმპერატორის პატივსაცემლად „ვაშა“ დაიძახა.

### პურიშკევიჩის საქმე.

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლომ სახელმწიფო სათათბიროს წევრი პურიშკევიჩი 10 მანეთით დააჯარიმა, რადგანაც თავისს გაზეთ პრიამოი პუტ“-ში დაბეჭდა წერილი „ტიომნიე დენგი“.

### რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულის გამო,

**პეტერბურგი.** სინოდმა შეიმუშავა რომანოვთა საგვარეულოს მეფობის 300 წლის დღესასწაულის წესი სამრევლო სკოლებში. ამასთანავე დაადგინა დღესასწაულის აღსანიშნავად დაარსოს ქალთა უმაღლესის ღვთისმეტყველო ინსტიტუტი.

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსმა „რეჩის“ რედაქტორი 500 მანეთით დააჯარიმა.

# რუსეთი

ამ ბოლო დროს, პეტერბურგის მუშათა შორის გავრცელდა სოც.-დემ. პარტიის მოწოდება. მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ დაზღვევის კანონები ყველა მუშებს არ ეხება, რომ მუშათა წარმომადგენლები დასაზღვევ საბჭოში მუშათა მიერ კი არ ირჩევიან, არამედ ინიშნებიან ვაჭრობის მინისტრისაგან, რომ მუშათა კრებები ამ კანონების განსახილველად აკრძალულია, და სხვა. პეტერბურგის მუშებს ურჩევენ ერთის დღით გაფიცვას პროტესტის ნიშნად. გაფიცვა იმ დღისთვის იყო დანიშნული, რა დღესაც სოც.-დემ. ფრაქცია ამ საკითხის გამო შეკითხვას შეიტანდა სახელმწიფო სათათბიროში. 14 დეკემბერს, დილით ვიბორგის მხარეს პოლიციელთა რაზმები გააძლიერეს პოლიციის რაზმი ჩამწკრივებული იყო სადეიქრო ქარხანასთან. ლესნერის ქარხნის მუშებმა ამ თვის 14 მუშაობას თავი დაანებეს. გაფიცულთ ჰსურდათ მიტინგი მოეხდინათ, მაგრამ პოლიციამ ხელი შეუშალა. პუტილოვის ქარხანაში გაიფიცნენ ზოგიერთ სახელოსნოს მუშები; ცოტა ხნის შემდეგ გაფიცულთ მიემხრო სხვა სახელოსნოებიც. პუტილოვის ქარხანაში გაფიცულთა რიცხვი 5,000 იყო. ნევის საბაჟოს უბანშიაც ბევრი სახელოსნო და ქარხნები ცარიელი იყო. სხვა უბნებში სტამბისა და სხვა და სხვა სახელოსნოს მუშები იყვნენ გაფიცულნი. სულ იყო გაფიცული 15000 კაცი.

პეტერბურგის ქალაქის უფროსის კანცელარიის ცნობით, 14 ამ თვეს გაფიცული იყო 14 ქარხანა და სამრეწველო. მთელ პეტერბურგში გაფიცული იყო 14,730 კაცი. პოლიციამ შეიპყრო ერთი მუშა, რომელიც დემონსტრაციის მოხდენას აპირებდა.

### მაკაროვის გადადგომა.

13 ამ თვეს შინაგან საქმეთა მინისტრი მაკაროვი ცარსკოე სელოში წავიდა. მაკაროვის თხოვნა შეიწყნარა ხელმწიფე იმპერატორმა და გაანთავისუფლა იგი თანამდებობიდან. საღამოს ათ საათზე მაკაროვი დაბრუნდა პეტერბურგში, არა როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, არამედ როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი.

მაკაროვი 16 ამ თვეს საზღვარგარედ მიემგზავრება.

ახალ მინისტრის დანიშვნის შემდეგ სამსახურიდან გადადგებიან მაკაროვის ამხანაგნი ზოლოტარევი და ხარუზინი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ზუევი და პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ბელეცკი.

### ეპისკოპოსი გერმოგენი და სერგეი ტრუფანოვი.

14 ამთვეს უწმინდეს სინოდის წევრმა მიტროპოლიტმა ვლადიმირმა, გრაფ, იგნატიევის მეუღლემ სკვარცოვმა და სხვა გავლენიანმა პირებმა ძიიღეს ეპისკოპოს გერმოგენის წერილი. ეპისკოპოსი ევედრება მფარველობა გაუწიონ ბეროძონაზონ ილიოდორეს — ერისკაცობაში სერგეი ტრუფანოვს. ეპისკოპოზი სთხოვს გულმოწყალედ და ლმობიერად მოეკიდნენ ტრუფანოვს და ნუ გაჰკრეჯენ, რადგანაც მის გაკრეჭას არა სასურველი შედეგი მოჰყვეგა.

გერმოგენი ითხოვს გადაიყვანონ ილიოდორე—სერგეი ტრუფანოვი—ქიოროვიცის მოხასტერში მის მზრუნველობის ქვეშ. ეპ. გერმოგენი დარწმუნებულია, რომ ილიოდორე კვლავ შეურიგდება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

წერილს ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია ქემარჯვენეთა ორგანიზაციების თვალსაჩინო წევრებზე. ისინი ყოველ ზომას მიიღებენ, რომ სინოდის დადგენილება სისრულეში არ მოიყვანონ. როგორც ამბობენ სინოდის გადაწყვეტილება შეუცვლელია. სასჯელის შესუბუქებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ილიოდორეს დაუძინებელი მტერი მიტროპოლიტი ვლადიძერია.

„რეჩის“ სიტყვით პეტერბურგში ილიოდორეს მეგობართა შორის ხმები გავრცელდა, რომ ილიოდორე ფლორიშჩის უდაბნოდან ციხეში გადაიყვანესო.

ილიოდორეს უპირებენ სამართალში მიცემას მკრეხელობისთვის. რამდენად მართალია, ჯერ გამორკვეული არ არის.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა (ზ ა მ თ ო ბ ი თ).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** **სამგზ.-საბარგო** № 8, სად. 5 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ:** **სახ.** № № 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ:** **ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ:** **სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ:** **სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან.** **ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № [illegible], საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან:** **სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან:** **სახ.-საბ.** № 83;7, ღლ. 5 ს. 28 წ

**ყარსიდან:** **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან:** **სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან:** **სახალ.** № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში** **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში:** **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში:** **სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს:** **სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ,** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს:** **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს:** **სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ.** და **ქუთაისს:** **სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 ი, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 ი, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში;** **სახ.** № 3 [illegible] შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 ი. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 ი, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

**ბაი თმ.-დან ქობულეთსა და ნატანებში:** **სახ.** № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს:** **სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს:** **სახ** № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში.** **სახ.** № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს:** **სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს.** **სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში:** **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2 12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათოსიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. ბავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. ხიჯელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაჯანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მელაკნის მოედანზე.

## გემების მიმოსვლა (ზ ა მ თ ო ბ ი თ)

**15 ოქტომბრიდან,**

**შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) **პირდაპირი,** **საფოსტო** გემი **შაბ.,** და **კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს. 58 წ.

№ 2. **პარასკევს**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სახ., შაბათ**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** **პირდაპირი, საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.,** საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.,** საღ, 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.,** საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა

**ბაქ-დან გად-ს:**

**კრასნოვოდსკს,** ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.

**ენზელს** **პირდაპირი, პარ.,** და **სამშაბ.,** ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**რასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. [illegible] წ.

**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 6 ს. 5 წ.

**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.


# განცხადებანი

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**606**—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**უ. ი, ბაბანახოვი:** 10 11 ს. საშვილოსნო ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა. ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეკტაბეგიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბეკტაბეგიანცი:** 6—7 საათ.

რიგით-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები, მორიგებით.

საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი**

## ვღებულობ საკერავს

**ქალებისა და ბავშვების კაბებს.**

საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ, ძრიელ ნაკლებ ფასად. აგრეთვე **ვიყვან შეგირდებს,** ვასწავლი მორიგების დაგვარად.

**მისამართი:** ჭავჭავაძის ქუჩა № 12 **ხომასურიძე.** 1603.

## მუხრანის კერძო სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თელერვლის ქუჩა, იგივე რიყე. № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ე ქ ი მ ე ბ ი ს მიერ: | დილით: |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ. | **სპეკტიორი გ. მ.** | $8^1/_2$—$9^1/_2$ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. ქ.** | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| საოპერაციო ქირურგ. სნეულებანი: | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი ზ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | $9^1/_2$—$10^1/_2$ ს. |
| საშარდე და ვენერიული სნეულ. | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| სნეულებ. საშვილოს. და ბავშვთ. | **ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. ზ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| სნეულებ. ყურ., ყელისა და ცხვ. | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 $12^1/_2$ ს, |
| ცუდი სხვ. და სახი ნაწლ. სნეულ. | **შაპელნიკოვი გ. ი.** | $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

კვირას, 23 დეკემბერს, გამოვა ახლად ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ჩვენი დროება“

ხელის მოწერის პირობები ტფილისში და ტფილის გარედ; წლიურად — 5 მ., ნახევარი წლ.— 3 მ., ერთი თვით—60 კ. საზღვარ-გარედ ერთი ორად მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—15 კ., მეოთხეზე—10 კ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ანდრონიკაშვილი ი., ახნაზაროვი არტემ, ამირაჯიბი გ., ანდრონიკაშვილი კ., გომართელი ი., გოთუა პ., გოგიჩაიშვილი ფ., გულისაშვილი ზ., გვაზავა გ., გუნია ვ., დუმბაძე დ., დავით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ვართაგავა ივ., იოსელიანი ევ., კასრაძე დ., მგალობლიშვილი ს., მესხი კ., ნატროშვილი ანტ., იასე რაქველი, ჯანაშვილი მ., ყიფშიძე გრ., თუმანიშვილი კ., შალიკაშვილი ვალ. და სხვ.

ა დ რ ე ს ი: Тифлисъ, Дворцовая ул. д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц газ. „Закавказская Рѣчь“. Телефонъ № 12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроэба“

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი { ერ. დ. გორდელაძე
მ. გაჩეჩილაძე.

1651.

## გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 35 კ.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზია

ამზადებს ქართული წიგნების ახალს

## კატალოგს.

ვისაცა ჰსურს თავისი გამოცემა შეტანილ იქმნას ამ კატალოგში, ვთხოვთ გამოგზავნოს წიგნები საკომისიოდ. ცნობა მიიღება 1 იანვრამდე. 1141.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა, თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები. და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზია ში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**შ ა ვ ი ხ ი ზ ი ლ ა ლ ა**

## პარიზული მაღაზია ძმ. საფარიანცისა და ტერ-საკოვისა

საგანგებოდ დღესასწაულებისათვის განსაკუთრებულის შეკვეთით **დამზადებულია**

**საკუთარ სამკერვალოში უკანასკნელი ახალ-ახალი**

## შეკერილი ტანისამოსი.

მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის, მეტის-მეტად

## ხელმისაწვდენ ფასად.

მაღაზიასთან გვაქვს **სამაგალითო სახელოსნო** შეკვეთის მისაღებად.

**ფასები შეუვაჭრებლად.**

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

**ტელეფონი № 258.** 1525


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.